


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 134 (4128)

1970 წ. 11 ივლისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# საქართველოს სსრ და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის იუბილეს აღნიშვნის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის იუბილეს აღნიშვნის შესახებ".

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მშრომელები საყოველთაო-სახალხო ენთუზიაზმისა და შემოქმედებითი შთაგონების ვითარებაში, დიადი საბჭოთა სამშობლოსთვის და კომუნისტურ მშენებლობაში მისი წარმატებებისთვის სიამაყის გრძნობით ეგებებიან ახალ ღირსშესანიშნავ თარიღს თავის ისტორიაში — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს, რადგან ეს დღესასწაული მიაჩნიათ ოქტომბრის სახელოვან ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებული ზეიმის განგრძობად.

საქართველოს კომპარტიის შექმნა (1920 წლის მაისი) და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში (1921 წლის თებერვალი) განუყრელადაა დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელთან, კომუნისტური პარტიის საქმიანობასთან, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან.

1921 წლის თებერვლიდან დაიწყო თვისებრივად ახალი ერა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში — განთავისუფლებული შრომის, სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკისა და ეროვნული კულტურის სწრაფი განვითარების ერა.

კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხების ერთსულოვან ოჯახში საქართველოს მშრომელებმა მოკლე ისტორიულ ვადაში ბოლო მოუღეს ტექნიკურ-ეკონომიურ ჩამორჩენილობას. პირველი ხუთწლედების წლების მანძილზე განხორციელდა რესპუბლიკის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. მუშათა კლასის სწრაფი ზრდა, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მისი როლის ამაღლება ქართულ სოფელში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობები გახდა.

უდიდესი გარდაქმნები მოხდა კულტურის, მშრომელთა სულიერი ცხოვრების დარგში. განვითარების ფართო შესაძლებლობანი შეიქმნა ლიტერატურას, ხელოვნებას, მეცნიერებას. აღიზარდნენ ქართული საბჭოთა ინტელიგენციის შესანიშნავი კადრები.

მრავალმა ქარხანამ და ფაბრიკამ, ელექტროსადგურებმა და მშენებლობებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ძირეულად გარდაქმნეს საქართველოს სახე. რესპუბლიკის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დამკვიდრდა და განმტკიცდა ახალი სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა, ხოლო ხალხის მსოფლმხედველობაში განუყოფლად დამკვიდრდა მარქსისტულ-ლენინური სოციალისტური იდეოლოგია.

დიდი სამამულო ომის წლებში ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მკერდით აღდგა ოქტომბრის დიად მონაპოვართა, საბჭოთა სამშობლოს თავისუფლების, ღირსებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. საქართველოს შვილებმა ბოლომდე მოიხადეს თავიანთი მოქალაქეობრივი და მხედრული ვალი.

ომისშემდგომი წლების მანძილზე საქართველოში კიდევ უფრო განვითარდა მძიმე ინდუსტრია, მსუბუქი და კვების მრეწველობა, წარმოიშვა მრეწველობის ახალი დარგები — მეტალურგიული, საავტომობილო, ქიმიური, ელექტროტექნიკური და სხვა დარგები. საქართველოს სოფლის მეურნეობა გახდა მოწინავე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სოციალისტური წარმოების მაღალი სასაქონლო დარგი. სოციალისტური ეკონომიკის წარმატებით განვითარება გახდა მტკიცე საფუძველი მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესებისთვის. ფართო გაქანება მოიპოვა რესპუბლიკაში საბინაო და კულტურულმა მშენებლობამ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურება და მშრომელთა პენსიით უზრუნველყოფა.

ქართველი ხალხი რწმენით შეჰყურებს მომავალს. საქართველოს მშრომელები აჩაღებენ ბრძოლას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისთვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისთვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის საწარმოებსა და სოფლის მეურნეობაში წარმოების რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისთვის და დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საყოველთაო-სახალხო საქმეში. სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში თვალსაჩინო მიღწევებისთვის საბჭოთა საქართველოს ორჯერ მიენიჭა მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი.

ქართველი ხალხის ყველა გამარჯვებისა და წარმატების ორგანიზატორია საქართველოს კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაწილი, მებრძოლი და ერთგული რაზმი. XX საუკუნის მიჯნაზე შობილი საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები მუდამ იყვნენ მუშათა კლასის, ყველა მშრომელის საქმისთვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე. საქართველოს კომპარტია მუდამ ზრდიდა და ახლაც ზრდის ხალხს მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური სამშობლოს დაცვისთვის მუდმივი მზადყოფნის სულისკვეთებით, დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევა, რომ მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია დარაზმოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისთვის, კომუნიზმის აშენებისთვის საბრძოლველად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინეს 1971 წლის თებერვალში მოაწყონ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის დღესასწაული როგორც ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვების დღესასწაული. იუბილეს მომზადება და დღესასწაული ჩაივლის მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომი ამაღლების, კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმების წარმატებით განხორციელებისთვის მათი დარაზმვის ნიშნით. პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ სათავეში ჩაუდგნენ საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას.

საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის დღესასწაულისთვის მზადებისა და იუბილეს მოწყობის ხელმძღვანელობისთვის შეიქმნა რესპუბლიკური საიუბილეო კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე (თავმჯდომარე), გ. დ. ჯავახიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), გ. ს. ძოწენიძე (თავმჯდომარის მოადგილე), გ. გ. აბაშიძე, ი. ბ. აბაშიძე, ა. გ. ალიევი, დ. კ. ანთაძე, ი. დ. ართმელაძე, ზ. გ. ახვლედიანი, ა. მ. ბალანჩივაძე, ა. ა. ბლრციანი, შ. ე. ბუხრაშვილი, კ. კ. გარდაფხაძე, დ. ვ. გელაშვილი, ბ. გ. გიგიბერია, მ. ა. გოგიჩაიშვილი, დ. ვ. გოგოხია, ს. ბ. დოლიძე, ი. ნ. ვეკუა, ს. ა. ზაქარიაძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, ა. დ. თხილაიშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ვ. ო. კობახია, ს. კ. კურკოტკინი, თ. ვ. ლაშქარაშვილი, ო. ი. ლოლაშვილი, დ. ვ. ლომაძე, დ. ა. მამისაშვილი, რ. ვ. მეტრეველი, გ. შ. მიქელაძე, ნ. ი. მუსხელიშვილი, დ. ვ. მჭედლიშვილი, ს. ლ. ნიკოლაიშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. პისარევა, პ. ა. როდიონოვი, შ. ა. სალარიძე, ვ. მ. სირაძე, გ. ვ. სიხარულიძე, გ. ს. ფირცხალავა, რ. ი. ფრუიძე, ე. გ. ღუდუშაური, შ. ვ. ყარყარაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, გ. შ. ჩადუნელი, ო. ე. ჩერქეზია, ი. ნ. ჩხენკელი, დ. ი. ჩხიკვიშვილი, ნ. შ. ცხაკაია, შ. ი. ჭანუყვაძე, ვ. ი. ჭიაურელი, ა. ვ. ჭირაქაძე, ი. რ. ხვედელიანი, ე. მ. ჯაფარიძე, უ. მ. ჯაფარიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, გ. ნ. ჯუსოევი.

პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომს, საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაევალათ გაშალონ აქტიური ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა რესპუბლიკის იუბილესთვის მოსამზადებლად, მაქსიმალურად გამოიყენონ ამ საქმეში დადებითი გამოცდილება, რაც შეძენილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის მზადებისა და მოწყობის პერიოდში; შექმნან ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში, რაიონებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში იუბილეს მოსამზადებელი და მომწყობი კომისიები, მუშაობაში დღესასწაულისთვის მოსამზადებლად ფართოდ ჩააბან ძველი ბოლშევიკები, დიდი სამამულო ომის მონაწილენი, შრომის ვეტერანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებს წინადადება მიეცათ შესაბამის სამინისტროებთან და სახელმწიფო კომიტეტებთან, შემოქმედებით კავშირებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და რესპუბლიკურ კომისიას წარუდგინონ საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისთვის მზადებისა და მოწყობის ღონისძიებათა კონკრეტული გეგმები. დადგენილებით გათვალისწინებულია დაწესდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელები საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამახსოვრო საიუბილეო დროშები ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონებისთვის. მოეწყოს საიუბილეო სესიები და სამეცნიერო-თეორიული კონფერენციები, კონკურსები ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, თეატრისა და კინოს დარგში თანამედროვე თემებზე საუკეთესო ნაწარმოებებისთვის, გამოიცეს მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა, აგრეთვე ნახევარი საუკუნის მანძილზე საბჭოთა საქართველოს მიღწევებისადმი მიძღვნილი პლაკატები და ალბომები, მოეწყოს მასობრივ-სპორტული და სამხედრო-ფიზკულტურული შეჯიბრებანი, გაიმართოს 50 წლის მანძილზე საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის მიღწევათა რესპუბლიკური გამოფენა, აგრეთვე სახვითი ხელოვნების გამოფენები; უჩვენონ რესპუბლიკის თეატრების მიერ დადგმული ახალი სპექტაკლები; მოეწყოს საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაღებული საუკეთესო ქართული მხატვრული, დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების ფესტივალები.

რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ ფართოდ გააშუქონ რესპუბლიკის იუბილეს დღესასწაულისთვის მზადება. პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ სისტემატურად და ყოველმხრივ უნდა გააშუქონ საქართველოში მომხდარი რევოლუციური გარდაქმნები, ღრმად ასახონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ერთ-ერთი მისი მებრძოლი რაზმის — საქართველოს კომუნისტური პარტიის სახელოვანი გმირული ისტორია, ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიური მონაპოვრების, მიღწევებისა და გამარჯვებების მნიშვნელობა, მისი მამაცობა და გმირობა სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისთვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობისა და პროპაგანდის განყოფილებებს და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტს დაევალათ საიუბილეო კომისიას წარუდგინონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომის, მშრომელთა დემონსტრაციის, ჯარებისა და ფიზკულტურელების პარადის მოწყობის გეგმა, აგრეთვე იმ სხვა ღონისძიებათა გეგმები, რომლებიც საიუბილეო დღეებში მოეწყობა.

დადგენილებაში გამოთქმულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმენა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები და კომკავშირლები, მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, ყველა მშრომელი მტკიცედ იბრძოლებენ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელებისთვის, რომლებიც საწარმოს კოლექტივებმა იკისრეს საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის ნახევარი საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად, ახალ სახელოვან გამარჯვებებს მიაღწევენ კომუნისტურ მშენებლობაში.

## დეპეშა გზიდან

თბილისის მ. თოიძის სახელობის № 11 პროფტექნიკური სასწავლებლის ველოტურისტული ლაშქრობის (თბილისი — ვოლგოგრადი) მონაწილეებმა, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს ეძღვნება, წარმატებით გაიარეს პირველი საკონტროლო პუნქტი.

თავს შესანიშნავად ვგრძნობთ.

პ. გირგიდოვი,
ლაშქრობის ხელმძღვანელი.
ორჯონიკიძე.

## კარგი სტარტი

ედმონტონი, 10 ივლისი. თავისუფალი სტილის აქ მოასპარეზე საბჭოთა მოჭიდავეებმა კარგად აიღეს სტარტი მსოფლიო ჩემპიონატში — პირველ წრეში ყველა მათგანმა გაიმარჯვა.

ხუთგზის მსოფლიოს და ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მინსკელმა მძიმეწონოსანმა ა. მედვედმა 1 წუთსა და 20 წამში ბეჭებზე დასცა მ. მარუტი (ინდოეთი), ხოლო სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტმა მახაჩყალელმა ნ. ნასრულაევმა (პირველი ქვესაშუალო წონა) ასევე წმინდად გაიმარჯვა: 1 წუთსა და 58 წამში სძლია კ.-პ. დოპფერს (გდრ).

სხვა საბჭოთა მოჭიდავეებმა თავიანთი მეტოქეები ქულებით დაამარცხეს: იაკუტიის წარმომადგენელმა რ. დმიტრიევმა (უმჩატესი) — ამერიკელი ბ. ორტი, მახაჩყალელმა ა. ნასრულაევმა (მჩატე) — იაპონელი ს. ოგავა, საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა, თბილისელმა გ. ყვარელაშვილმა (მსუბუქი) — ეკვადორელი მ. ტერანი, თბილისელმა ნ. ხოხაშვილმა — კანადელი ა. ვირი, მახაჩყალელმა ი. შახმურადოვმა (პირველი საშუალო) პოლონელი ი. ვნიჩორჩიკი, კიეველმა ვ. გულიუტკინმა (ქვემძიმე) — არგენტინელი დ. ვერნიკი.

ფინალური შეხვედრები 11 ივლისს გაიმართება.

## სტუმრად მოსკოვში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მოწვევით მოსკოვში სტუმრადაა ირანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, პრინცი გოლიამ რეზა ფეხლევი. საპატიო სტუმარს მეგობრული საუბარი ჰქონდა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარესთან ს. პავლოვთან, რომელმაც სტუმარს მოუთხრო სსრ კავშირში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე, იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ, შრომობენ და ვარჯიშობენ საბჭოთა სპორტსმენები.

ირანელმა სტუმარმა ილაპარაკა თავის ქვეყანაში სპორტის განვითარების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ირანში დიდი ყურადღება ეთმობა სსრ კავშირთან სპორტული კავშირის განვითარებას. პრინცმა რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა და ირანის ქვეყნებს შორის სპორტული კონტაქტები კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება.

# გეგმები და შესრულება

ვაქვეყნებთ რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა საბჭოებისა და ფიზკულტურის კომიტეტების მიერ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებისა და სსრ კავშირის სპორტის ოსტატების მომზადების გეგმების შესრულების მიმდინარეობის ამსახველ ცხრილს 10 ივლისის მდგომარეობით:

| | საერთაშ. კლასის ოსტატი გ. | საერთაშ. კლასის ოსტატი შ. | ოსტატი გ. | ოსტატი შ. |
|---|---|---|---|---|
| „ბურევესტნიკი" (თავმჯდომარე გ. ცქიტიშვილი) | 3 | 0 | 50 | 14 |
| „დინამო" (თავმჯდომარის მოადგილე ვ. დიდიძე) | 3 | 0 | 35 | 10 |
| „განთიადი" (თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე) | 2 | 1 | 30 | 3 |
| „კოლმეურნე" (თავმჯდომარე ვ. ულენტი) | 1 | 0 | 25 | 11 |
| „სპარტაკი" (თავმჯდომარე ა. კორინთელი) | — | 1 | 25 | 4 |
| „ლოკომოტივი" (თავმჯდომარე თ. კაჭახიძე) | — | — | 17 | 2 |
| „შრ. რეზერვები" (თავმჯ. მოადგ. ს. მეგრელიშვილი) | — | — | 8 | 0 |
| „ვოდნიკი" (თავმჯდომარე ვ. იორაიშვილი) | — | — | 3 | 0 |
| თბილისის ასკ (უფროსი ა. კუხიანიძე) | 1 | 0 | 27 | 10 |
| სულ | 10 | 2 | 220 | 54 |
| აფხაზეთი (თავმჯდომარე ჯ. გუბაზი) | 1 | 0 | 20 | 2 |
| აჭარა (ზ. მამუჭაძე) | 1 | 0 | 18 | 1 |
| სამხრეთ ოსეთი (ა. ფედეევი) | 0 | 0 | 4 | 4 |
| თბილისი (გ. შარაშიძე) | 7 | 2 | 120 | 34 |
| ქუთაისი (ლ. ახვლედიანი) | 1 | 0 | 20 | 4 |
| ფოთი (ბ. გოგიჩაიშვილი) | 0 | 0 | 2 | 1 |
| ჭიათურა (ზ. ბარათაშვილი) | — | — | 1 | 0 |
| რუსთავი (ო. ჭებაშვილი) | — | — | 5 | 2 |
| გორი (გ. მეყანწიშვილი) | — | — | 5 | 0 |
| ტყიბული (ვ. ოქრუაძე) | — | — | 1 | 0 |
| ზუგდიდი (გ. ლოგუა) | — | — | 1 | 0 |
| ახალციხის რაიონი (უ. გოგოლაძე) | — | — | 1 | 0 |
| ბორჯომის რაიონი (ა. გელაშვილი) | — | — | 1 | 1 |
| ვანის რაიონი (ლ. ბუბაშვილი) | — | — | 1 | 0 |
| გარდაბნის რაიონი (ვ. ნუცუბიძე) | — | — | 3 | 1 |
| გორის რაიონი (ა. ცხოვრებაძე) | — | — | 1 | 0 |
| გურჯაანის რაიონი (ა. ჭუჭულაშვილი) | — | — | 1 | 0 |
| ზესტაფონის რაიონი (კ. ბაზაძე) | — | — | 1 | 0 |
| ზუგდიდის რაიონი (კ. ხორავა) | — | — | 1 | 1 |
| კასპის რაიონი (გ. კიკაჩეიშვილი) | — | — | 1 | 1 |
| ლანჩხუთის რაიონი (გ. წილოსანი) | — | — | 1 | 0 |
| მახარაძის რაიონი (ო. კიშინსკი) | — | — | 1 | 0 |
| მესტიის რაიონი (ნ. გვარლიანი) | — | — | 1 | 0 |
| მცხეთის რაიონი (ფ. ხუროშვილი) | — | — | 3 | 0 |
| ონის რაიონი (შ. ქოჩლაძე) | — | — | 1 | 0 |
| საგარეჯოს რაიონი (ვ. ქაიხოსროშვილი) | — | — | 1 | 0 |
| სამტრედიის რაიონი (გ. კალაძე) | — | — | 1 | 1 |
| თელავის რაიონი (ვ. სახიევი) | — | — | 1 | 0 |
| ხაშურის რაიონი (კ. ხვედელიანი) | — | — | 1 | 0 |
| წულუკიძის რაიონი (ა. უუფარაძე) | — | — | 1 | 0 |
| ცხაკაიას რაიონი (შ. ჩიქობავა) | — | — | 0 | 1 |
| სულ | 10 | 2 | 220 | 54 |

შენიშვნა: გ. — გეგმა, შ. — შესრულება.



რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკის საჭიდაო სარბიელზე მოეწყო „განთიადის" საქალაქო საბჭოს პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ბ. ჯაფარიძე (ამწეშმენებელი ქარხანა), კ. შავშიშვილი, გ. კოზაევი (ორივე — თუჯსასხმელი ქარხანა), თ. ავლოხაშვილი (სპორტკლუბი „ფოლადი"), ზ. დორეული (ქიმკომბინატი), ა. თინიკაშვილი (სპორტკლუბი „ფოლადი"), ო. ბლიაძე (ქიმიური ბოჭკოს ქარხანა), ი. ბეყოშვილი (სპორტკლუბი „ფოლადი").

# სტარტზეა სასოფლო სპორტი

ამჟამად მთელს საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს სასოფლო სპორტული თამაშები. 15 აგვისტოსთვის შეჯიბრებები დამთავრდება რაიონებში, ოლქებში, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში. შემდეგ ფინალები მოკავშირე რესპუბლიკებში მოეწყობა, სექტემბრის ბოლოს კი უძლიერესები ოდესასა და კიშინიოვში მოიყრიან თავს.

ბევრი საკოლმეურნეო სპორტული კლუბი დიდ წარმატებებს აღწევს და სხვებისთვის საუცხოო მაგალითადაც გამოდგება. აი, რას გვიამბობენ ხაქდესის კორესპონდენტები რამდენიმე რიგით სასოფლო სპორტულ კოლექტივზე.

## „რადუგას" თოთხმეტი ფერი

მოჟგინსკის რაიონის კოლმეურნეობა „როსიას" მშრომელთა „შესრულებით" გაცილებით შინაარსიანი და მიმზიდველი გახდა უძველესი უდმურტული დღესასწაული „გირონ ბიდტონი". კოლმეურნეებმა ამჯერადაც მოიყარეს თავი თავიანთ სასულე ორკესტრის ხმაზე. ჭაბუკებს ხელში თაიგულები ეჭირათ, ქალიშვილები ყვავილების გვირგვინებით მორთულიყვნენ. სპორტკლუბ „რადუგას" წევრებს ფერად-ფერადი მაისურები ჩაეცვათ. მათთვის ეს დღე მიღწევათა ჩვენების დღე იყო.

სპორტულ მატალიებს ათი ათასობით მაყურებელი ადევნებდა თვალს. მათ შორის მეზობელი კოლმეურნეობებიდან და რაიონებიდან ჩამოსული სტუმრებიც იყვნენ.

კოლმეურნეობის სპორტკლუბში 14 სექციაა, რომლებიც 700-ზე მეტ ჭაბუკსა და ქალიშვილს აერთიანებენ. ჭადრაკისა და შაშის, ნადირობისა და თევზაობის სექციებში უფრო საპატიო ასაკის ხალხიცაა ჩაბმული. ბევრ შეჯიბრებაში მოპოვებული გუნდური და პირადი გამარჯვებისთვის კლუბს მიღებული აქვს „უროჟაის" ცენტრალური საბჭოს, უდმურტეთის რესპუბლიკური და რაიონული საბჭოების, დოსააფის, საოლქო პროფსაბჭოს სიგელები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. გორინცევი თავისუფალ დროს სიამოვნებით „ერთობა" ორფუთიანი საწონებითა და შტანგით. იგი თითქმის ყველა შეჯიბრებას ესწრება. „კოლმეურნეობის მმართველობა სპორტის განვითარებისთვის არასოდეს დაიშურებს თანხებს, — ამბობს თავმჯდომარე. — სამაგიეროდ, შრომისნაყოფიერება მაღლდება".

კოლმეურნეობის ცხოვრებიდან მრავლად შეიძლება ამ სიტყვების დამადასტურებელი მაგალითების მოყვანა. მ. რომანოვი შესანიშნავი ფრენბურთელი და ჩოგბურთელია. ამასთან, მან თანატოლ კომკავშირელთა შორის საუკეთესო მძღოლის სახელიც მოიხვეჭა. პირველთანრიგოსანი მოთხილამურე მ. სოლოვიოვი საუკეთესო ტრაქტორისტია.

მხნეობრულად და ნაყოფიერად მუშაობენ უდმურტეთის ყველაზე მსხვილი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მდიდარი კოლმეურნეობის „როსიას" წევრები. მათ დასვენებაც გონივრული იციან და ახალგაზრდობაც აღარ ტოვებს სოფელს, აღარ ცდილობს ქალაქად გადასახლდეს. მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში თუ გააგრძელებენ სწავლას, დაამთავრებენ და ისევ სოფელს უბრუნდებიან.

...მხიარული დღესასწაულია „გირონ ბიდტონი". ზეიმი დამთავრდება და მონაწილენი ისევ თავის ყოველდღიურ საქმეს, შრომას და სპორტს დაუბრუნდებიან.

ა. დანილოვი.

მოჟგინსკის რაიონი, უდმურტეთის ასსრ.

● ●

## სპორტული ზუგალაი

ბურიატთა ნაციონალური ოლქის აგინსკოეს ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა თავიანთ სპორტულ კლუბს მშობლიური სოფლის სახელი უწოდეს — „ზუგალაი". ეს სპორტკლუბი ერთ-ერთი საუკეთესოა ომიერბაიკალში. კოლმეურნეები გატაცებული არიან ძალოსნობით, ცხენოსნობით, ჭიდაობით, კრივით, მძლეოსნობით, მშვილდოსნობით.

ყოველი მეორე კოლმეურნე სპორტკლუბის წევრია. მათ შორის ორი სპორტის ოსტატია — მოჭიდავე ვ. დაშიევი და რსფსრ-ს მშვილდოსანთა ნაკრების კანდიდატი დ. ბატოევი. ზუგალაიელები ჩიტის ოლქის ჩემპიონები არიან კლასიკურ ჭიდაობაში.

ამ დღეებში ზუგალაის სპორტულ მოედნებზე და კოლმეურნეობის სპორტის სასახლეში ტარდება სასოფლო თამაშები „უროჟაის" რუსეთის II სპარტაკიადის პროგრამით. აქ თავი მოიყარეს სპორტსმენებმა ჩრდილოეთ კავკასიიდან, ვოლგის ნაპირებიდან, ურალიდან.

აგინსკოე.

● ●

## 10 ათასი მონაწილე

ყაბარდო-ბალყარეთის II სასოფლო სპორტულ თამაშებში 10 ათასი კაცი და 120 ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობს. უკვე ჩატარდა შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთში, სროლაში, ჭადრაკში, შაშში.

რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურა მასობრივად დაინერგა. მაგალითად, სოფელ ყარაგაჩის ჩაპაევის სახელობის მოწინავე კოლმეურნეობამ სპორტის 16 სახეობაში გამოიყვანა გუნდები. უკვე ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ყაბარდო-ბალყარეთი საუცხოოდ მომზადებულია რუსეთის სასოფლო თამაშებისთვის.

ე. მალბახოვი.

ნალჩიკი.

# ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

## საცურაო სპორტის სასახლე

პენზა, 9 ივლისი. აქ გაიხსნა პროფკავშირთა საწყლოსნო სპორტის ახალი სასახლე. მოცურავეთა, წყალბურთელთა და წყალში მხტომელთა განკარგულებაშია 50-მეტრიანი აუზი, რომლის სიგანე 21 მეტრია, აგრეთვე, სახტომი კოშკები.

ცურვის ყველაზე პატარა მოყვარულთათვის აშენებულია „სამყურმპალო".

აუზის ბილიკები ადგილობრივმა სპორტსმენებმა და მათმა სტუმრებმა — სარატოველმა მოცურავეებმა და მხტომელებმა „გახსნეს".

[illegible]

→ ცხინვალი

საქალაქო თასის გათამაშებაში ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა 8 გუნდი მონაწილეობდა. I ადგილი წილად ხვდა ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის გუნდს.

ვ. მელქოევი.

→ ზუგდიდი

აქ ხუთ დღეს გაგრძელდა „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს ზონალური პირველობა ფრენბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ზუგდიდის, მახარაძის, ჩოხატაურის, ტყიბულის, ცაგერის, ცხაკაის, გეგეჭკორის, ხობის, აბაშის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების ნაკრები გუნდები. ვაჟთა შორის ყველას აჯობეს ცაგერელებმა. II ადგილზე გავიდნენ მახარაძელები, III — ზუგდიდელები. ქალებში პირველობა არავის დაუთმო ზუგდიდელთა კოლექტივმა. II ადგილზეა ცაგერის, III — ტყიბულის ნაკრები.

ბ. ალშიბაია.

აღსანიშნავია თუჯსასხმელი ქარხნის ახალგაზრდული კოლექტივის წარმატება, რომელსაც საზოგადოებრივ საწყისზე წვრთნის ამავე ქარხნის ოსტატი კ. აბულაძე.

რ. გაბრიჩიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

* * *

სურათზე: საშუალო წონის მოჭიდავეების ა. თინიკაშვილისა (მარცხნივ) და ო. ბერიშვილის შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.

# უნივერსიადა ფინიშთან

საკავშირო საზაფხულო უნივერსიადის ფინალური შეჯიბრებები დონის როსტოვში გაიმართება 16-26 ივლისს. ეს ითქვა პრესკონფერენციაზე, რომელიც 8 ივლისს მოსკოვში მოეწყო.

წლეულს საზაფხულო უნივერსიადა ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ტარდება. უკან დარჩა სამი ეტაპი — შეჯიბრებები უმაღლეს სასწავლებლებში, ქალაქებში, მხარეებში, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში, მოსკოვსა და ლენინგრადში.

ფინალური ტურნირები სპორტის 25 სახეობაში ტარდება. შვიდ სახეობაში — თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ფარიკაობაში, წყალში ხტომაში, სპორტულ ტანვარჯიშში, გზატკეცილზე ველორბოლასა და სამბოში შეჯიბრებები უკვე ჩატარდა და ლიდერობს რსფსრ-ს ნაკრები (953 ქულა).

დონის როსტოვში გაიმართება შეხვედრები კრივსა და მხატვრულ ტანვარჯიშში, კალათბურთში, აკრობატიკაში, ფრენბურთში, ხელბურთში, ჩოგბურთში, მშვილდოსნობასა და მძლეოსნობაში. ნოვოჩერკასკში ჩატარდება შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთში, ტაგანროგში — ძალოსნობაში.

დანარჩენი ფინალური ტურნირები ამავე დღეებში გაიმართება კიევში (ჭადრაკი და აკადემიური ნიჩბოსნობა), ვორონეჟში (ტყვიის სროლა), ბათუმში (წყალბურთი), ლენინგრადში (ტრეკზე ველორბოლა) და სარატოვში (ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა). ცურვაში უნივერსიადის მონაწილე „ბურევესტნიკის" სპორტსმენებს ქულები ერიცხებათ რესპუბლიკური პირველობის შედეგების მიხედვით.

უნივერსიადამ უკვე გამოავლინა ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი.

უძლიერესები გამოვლენ მსოფლიო უნივერსიადაში, რომელიც 26 აგვისტოს დაიწყება იტალიის ქალაქ ტურინში.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ტექნიკური სახეობების ოსტატები

სსრ კავშირში ყოველწლიურად სულ უფრო მასობრივად ვითარდება სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობები.

წლევანდელი V საკავშირო სპარტაკიადა სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში დაიწყო დოსააფის პირველად კოლექტივებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, სკოლებში, საბჭოთა მეურნეობებში. მაისში გაიმართა რაიონული და საქალაქო, ივნისში — საოლქო სპარტაკიადები. ახლა ტარდება ზონალური შეჯიბრებები — მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპარტაკიადების ფინალები.

პროგრამით გათვალისწინებულ ორ სახეობაში საბოლოო შედეგები უკვე დაჯამდა: მაისში რადიოკონსტრუქტორებმა იასპარეზეს, ივნისში — მოკლეტალღიანი რადიოკავშირის ოსტატებმა.

ახლა დადგა მსროლელთა ჯერი, რომელთა შეჯიბრებაც 16 ივლისს დამთავრდება. სულ სპარტაკიადის პროგრამაში 29 სახეობა შედის (ფინალები ძირითადად აგვისტოში მოეწყობა).

რადისტებს ელით ტურნირები მრავალჭიდში (თბილისი, 5-14), რადიოგრამების მიღებასა და გადაცემაში (ბაქო 15-20), „მელიებზე ნადირობაში" (ვილნიუსი).

სამოტოციკლო სპორტის მოყვარულები შეჯიბრებას გამართავენ მოტობურთში (მოსკოვი, 23), კროსში (ულიანოვსკი, 13-15), მრავალჭიდში (ალმა-ათა, 2-9), იპოდრომზე (ტალინი, 1-2) და წრიულ ბილიკზე (უფა. 7-10), აგრეთვე, საგზატკეცილო წრიულ რბოლაში (ტალინი, 12-16).

ავტომობილისტებს ელით რალი (ერევანი, 8-11), საგზატკეცილო-წრიული რბოლა (ლენინგრადი, 11-16), შეჯიბრებები კარტინგებით (რიგა, 6-9), მრავალჭიდსა (ფრუნზე, 20-23) და კროსში (კიროვოგრადი, 6-9).

მცირე ავიაციის კონსტრუქტორები კიევში იასპარეზებენ (10-20), გემის მემოდელეები — ტერნოპოლში (8-15), მინიატურული ავტომობილების შემქმნელები — კიშინიოვში (10-20).

ავიატორთა ფინალური ტურნირები ასე დაიგეგმა: პლანერისტები გამოვლენ ორიოლში (20 ივლისი-5 აგვისტო), დგუშიანი თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების მართვის ოსტატები — მოსკოვში (პირველნი — 10-20, მეორენი — 15-25), პარაშუტისტები — კრასნოდარში (15-25).

საწყლოსნო სახეობების წარმომადგენლები გამოვლენ მინსკში (წყალქვეშ სწრაფცურვა, 26 ივლისი-2 აგვისტო), მოსკოვში (წყალქვეშ ორიენტირება და საზღვაო მრავალჭიდი, 13-20), კრასნოდარში (წყალსამოტორო სპორტი, 5-15).

სპარტაკიადაზე პირველადაა წარმოდგენილი სამხედრო-გამოყენებითი მრავალჭიდი — ალმა-ათა (13-16). აქ შედის ავტომანქანის ფიგურული მართვა, სროლა, ხელყუმბარის ტყორცნა, ცურვა, მძლეოსნური კროსი და აირწინაღის სწრაფად გაკეთება.

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებს ქულები დაერიცხებათ პროგრამის 15 სახეობაში მოპოვებული საუკეთესო შედეგების მიხედვით. ჯერჯერობით ლიდერობენ რსფსრ-სა და უკრაინის ნაკრები კოლექტივები — 32-32 ქულა.



# ხუანიტო და მისი მეგობრები

## მასპინძლები და მსაჯები

მექსიკის ნაკრებთან სსრ კავშირის ფეხბურთელთა მატჩს, რომლითაც 31 მაისს გაიხსნა IX მსოფლიო ჩემპიონატი, მეხიკოში მიმავალმა საბჭოთა ჟურნალისტებმა ვუყურეთ... მოსკოვში. ვიხილეთ ტელევიზორებთან და შორიდან განვიცდიდით აბობოქრებული „აცტეკის" ხავერდოვან მინდორზე გაჩაღებული ბრძოლის მომენტებს. ამ ვეებერთელა, მაგრამ ძალიან მოხდენილად ნაგები სტადიონის ტრიბუნები მართლაც ბობოქრობდა, მაგრამ ტელევიზორით მოსმენილი ხმაური შორეული ექო გამოდგა იმ წარმოუდგენელი ღრიანცელისა, რაც იქ მოხვედრილ კაცს ყოველი მხრიდან ატყდება თავს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს განსაკუთრებულ, ენით გამოუთქმელ მასშტაბებს აღწევს მაშინ, როცა მინდორზე მასპინძელთა გუნდი თამაშობს.

რახან მექსიკის ნაკრებზე ჩამოვარდა სიტყვა, მოგახსენებთ, რომ ეს არის საკმაოდ სუსტი კოლექტივი, რომელსაც აშკარა დახმარება გაუწიეს... მსაჯებმა. ამის დასადასტურებლად საკმარისია ორი უტყუარი ფაქტი. ჯერ ერთი, სალვადორელებთან მატჩის (მსაჯი — არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელი ა. კანდილი), პირველი ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა პირველი გოლი ნაღდი თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანეს; მეორეც, ბელგიელებთან შეხვედრაში (მსაჯი — არგენტინელი ა. კორეზა) ის ერთადერთი ბურთი, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა, მექსიკელებმა სრულიად დაუმსახურებელი 11-მეტრიანი დარტყმით მოათავსეს გაკვირვებისა და აღშფოთებისგან გაოგნებული მეტოქის კარში.

მექსიკისა და სალვადორის გუნდების თამაშის შემდეგ პირდაპირ გაოცებული ვიყავი: მიკვირდა, როგორ ვერ აჯობეს მასპინძელთა ნაკრებს საბჭოთა ფეხბურთელებმა. მაგრამ თურმე სადა ხარ?! შემდგომმა მატჩებმა დაგვანახა, რომ სსრ კავშირის ნაკრები მექსიკელებზე არანაკლებ სუსტი ყოფილა.

... როგორც წესი, „აცტეკის" სტადიონის ტრიბუნებს შევსება მატჩამდე დაახლოებით 2 საათით ადრე იწყება. ამასთან ერთად იწყება ფანატიკურად განწყობილ გულშემატკივართა „კონცერტი", რომელიც კულმინაციას აღწევს სტადიონის გვირაბში მექსიკელთა გუნდის გამოჩენისას. და ეს კულმინაცია — გამაყრუებელი ყვირილის, სასოწარკვეთილი შეძახილების, ათასნაირი საყვირებისა და საჩხარუნებლების, დოლებისა და დაფდაფების აკომპანემენტი მთელი მატჩის განმავლობაში გრძელდება.

აფრიალებენ ეროვნულ დროშებსა და ბაირაღებს, ხმის ჩახლეჩამდე, პირდაპირ გულის წასვლამდე გაჰკივიან „მე-ხი-კო, მე-ხი-კო, რა-რა-რა"-ს, ისვრიან ქუდებს, მაშხალებსა და... პნევმატურ პისტოლეტებს. ერთი სიტყვით, ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ გამაყრუებელ ღრიანცელში. მეხიკოში სასწავლებელიც კია, სადაც ამგვარი „კონცერტების" დირიჟორებს ამზადებენ. და უნდა გითხრათ, რომ ეს დირიჟორები მართლაც არ არცხვენენ თავიანთი სასწავლებლის სახელს. ერთობ ნიჭიერი კურსდამთავრებულები არიან!

სალვადორ—მექსიკის მატჩის შემდეგ უკრაინის „სპორტივნაია გაზეტას" რედაქტორმა ვ. დმიტრუკმა მითხრა: არაფრით არ მეგონა, თავი თუ არ გამისკდებოდაო. მერე, იქვე მდებარე პრეს-ცენტრის გრძელ ოთახში რომ შევედი, ყველას თავზე ჰქონდა ხელი წავლებული.

— მე ახლაც ყურები მიწივის. ყოველივე ამას კაცი უნდა მიეჩვიოს, — ჩიოდა ერთი.

მაგრამ ამაზე ხმაურიანი კონცერტი თურმე წინ გვქონდა.

ტრანსპორტით გახერგილ ქუჩებში ჩვენი ავტობუსი კუს ნაბიჯით მიდიოდა სტადიონიდან სასტუმროსკენ. გზადაგზა ავტობუსებს საოცრად ალტყინებული, მყვირალა ახალგაზრდების ჯგუფები აჩერებდნენ — წინ გადაუდგებოდნენ, მექსიკის ეროვნულ დროშებს აფრიალებდნენ, „მე-ხი-კო, მე-ხი-კო, რა-რა-რა"-ს გაჰკიოდნენ და ზეაღმართული მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუა თითის გაშლით გვანიშნებდნენ თავიანთ გამარჯვებაზე — „ვიქტორიაზე" (ეს გაშლილი თითები ამ სიტყვის პირველ ასოს გამოხატავს ლათინურად).

ავტობუსმა სასტუმრომდე ვერ მიაღწია. ჩვენც გადმოვედით და ფეხით დავადექით გზას ამ გაუკვალავ, მოზეიმე ბრბოში.

თავისუფლების მონუმენტთან ხალხმრავალი მიტინგი დუღდა და გადმოდუღდა. მონუმენტს ცეკვაცეკვით გარშემო უვლიდნენ ხელიხელჩაკიდებული, საოცრად ლამაზ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდები. იყო სიმღერები, დროშები, საჰაერო ბუშტები, პლაკატები, ტრანსპარანტები... მანქანებიც „მე-ხი-კო, მე-ხი-კო, რა-რა-რას" ტაქტში იძლეოდნენ სიგნალს.

ამ გაუთავებელ დღესასწაულზე მეტს აღარაფერს ვიტყვი, ვინაიდან „ლელოში" უკვე [illegible] მაგრამ ერთ ფაქტს [illegible] იმ საღამოს 400 კაცი დაშავდა. ნაწილი მანქანის ძარის სახურავიდან ჩამოვარდა და ზოგიც ავტომობილის ბორბლების ქვეშ მოყვა.

ზუსტად ასეთივე ფანტასმაგორია იყო ბელგიის ნაკრებთან მექსიკელების გამარჯვების შემდეგ. ჩვენ უკვე ვშიშობდით, რომ იტალიელებთან მომავალ შეხვედრაში წარმატების შემთხვევაში მექსიკელები თავიანთ ქალაქს ალბათ ნაკუწ-ნაკუწად აცვლიდნენ და სუვენირებად ქაჩავდნენ (როგორც ჩვენი სასტუმროს შესასვლელის სახურავზე მდგარი უზარმაზარი პლასტმასის ბურთი წაიღეს პარტიზანული მეთოდით).

მ. კაკაბაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
მეხიკო — თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

* * *



სურათზე: იტალიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი რივა და მისი მექსიკელი თაყვანისმცემლები.

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 131, 132.

# მოულოდნელი დასასრული

პარიზი, 9 ივლისი. აშშ-ს მძლეოსან ვაჟთა ნაკრების დებიუტი მის ევროპულ ტურნეში მართლაც მოულოდნელი გამოდგა. სტუმრებმა „კოლომბის" სტადიონზე მატჩის პირველ დღეს ანგარიშით 50:56 წააგეს საფრანგეთის ნაკრებთან.

ამერიკელები განსაკუთრებით იმან დააბნია, რომ იქ დამარცხდნენ, სადაც ყველაზე ძლიერი ეგონათ თავი — სპრინტერულ რბენაში. 100 მეტრზე შეჯიბრებაში 12 ათასი მაყურებლის გულწრფელი სიხარული გამოიწვია ფრანგმა სპორტსმენმა ა. სარტიემ, რომელიც პირველი მიიჭრა ფინიშთან — 10,5. მეორე იყო ამერიკელი ბ. ვონენი. 4×100 მეტრზე ესტაფეტაში ფრანგთა კვარტეტის (სარტიე, ბიურნე, ფენუი, მეტცი) უპირატესობა აშკარა იყო — 39,0. ამერიკელების (კროკეტი, ვონენი, ჰარტი და ტერნერი) შედეგია 39,3.

400 მეტრზე თარჯრბენში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ჟ.-კ. ნალემ, რომელიც ფინიშთან 48,6 წამის შემდეგ მიიჭრა. ეს მაჩვენებელი საფრანგეთის ახალი რეკორდია და მხოლოდ ნახევარი წამით ჩამოუვარდება მსოფლიო რეკორდს. ამას გარდა, იგი სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში. II ადგილზე გასული ამერიკელი რ. მენი (49,5) განცვიფრებული იყო. „მე ჯერ არ წამიგია ასეთი სხვაობით", — გულასდილად განაცხადა მან.

დასასრულ, საფრანგეთის ნაკრების ვეტერანმა პ. კოლნარმა (იგი უკვე 41 წლისაა) ბირთვის კვრაში ახალი ეროვნული რეკორდით (19,70 მ) დაამარცხა ამერიკელები.

დღის პროგრამის დანარჩენ სახეობებში გაიმარჯვეს: 800 მ — კ. სვენსონმა (აშშ) — 1.47,5; 5000 მ — ჟ. ვადუმ (საფრანგეთი) — 13.28,0; 3000 მ წინაღობებით — ჟ.-პ. ვილენმა (საფრანგეთი) — 8.33,0; ხტომაში: სიგრძეზე — ჟ. პანიმ (საფრანგეთი) — 805 სმ, ჭოკით — ს. კარაზერსმა (აშშ) — 525 სმ. ბადროს ტყორცნა მოიგო ჯ. პაუელმა (აშშ) — 59,94 მ.

# იუნიორთა ევროპული...

როტერდამში სტარტი აიღო იუნიორ წყალბურთელთა პირველმა ევროპულმა ჩემპიონატმა, რომელშიც 11 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიან. ასპარეზობა სამ ქვეჯგუფად ტარდება. ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გასული გუნდები იბრძოლებენ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის.

საბჭოთა წყალბურთელებს პირველი მატჩი ჰქონდათ პოლონელ კოლეგებთან და დაამარცხეს ისინი დამაჯერებელი ანგარიშით — 6:1. ჩემპიონატის მონაწილეთა და სპეციალისტთა აზრით, საბჭოთა გუნდში ჩინებული თამაშით გამოირჩეოდნენ თავდამსხმელები ნ. მშვენიერაძე და ვ. რომანჩუკი.

პირველი ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: საბერძნეთი — ბელგია 8:5, იტალია — ინგლისი 9:0, ესპანეთი — ჩეხოსლოვაკია 8:3.

# მოკლე ამბები

● ვარშავა, 9 ივლისი. თანამედროვე ხუთჭიდის საბჭოთა ოსტატებმა მეგობრული არმიების აქ გამართულ IV ჩემპიონატში ორმაგი წარმატება მოიპოვეს: სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა გუნდურ ჩათვლაში, მექსიკის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა, ლვოველმა პ. ლედნიოვმა კი პირადში.

● კიევი, 10 ივლისი. უკრაინის იუნიორ მძლეოსანთა შეჯიბრებაში დნეპროპეტროვსკელმა ო. ხრისტაანმა 2000 მეტრზე წინაღობებით რბენაში სსრ კავშირის ჭაბუკთა ახალი რეკორდი დაამყარა — 5.57,7.

● მოსკოვი, 10 ივლისი. სპორტის ტექნიკურ სახეობებში საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით მოასპარეზე ტყვიის მსროლელებმა რამდენიმე ვარჯიში დაამთავრეს. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა ასპარეზობაში ა. ბულგაკოვმა და გ. სემინიხინმა 596-596 ქულა დააგროვეს. პირველობა ბულგაკოვს მიეკუთვნა. პისტოლეტით სროლაში ჩემპიონი გახდა რომის ოლიმპიადის ჩემპიონი ვ. შამბურკინი — 576 ქულა. „გაქცეულ ირემზე" სროლაში რსფსრ-ს სპორტსმენებმა იმარჯვეს: ჩემპიონი გახდა ვ. პოსტოიანოვი — 236 ქულა. II ადგილზეა ი. ნიკიტინი — 234. საქართველოს „მონადირეები" II ადგილზე გავიდნენ. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ლიდერობენ.

● ტერსკოლი, 10 ივლისი. სამთომოთხილამურეთა ღია საზაფხულო საკავშირო პირველობაში „იალბუზის" პრიზზე დამთავრდა ვაჟთა ასპარეზობა სპეციალურ სლალომში. მონაწილეებს პირველი ცდით 430-მეტრიანი (სიმაღლეთა სხვაობა 165 მ, 48 კარი), მეორე ცდით კი 450-მეტრიანი (დაემატა 5 კარი) ტრასა უნდა გაევლოთ. ყველას აჯობა ნ. ანდრონოვმა — 1.19,4. II ადგილზე, ა. გოლუბკოვი (ორივე — მოსკოვის ოლქი) — 1.20,7, III — ვ. ბორსოვი (მონჩეგორსკი) — 1.20,9.

# ვინ ვის ხვდება

ჟენევა, 8 ივლისი. აქ მოხდა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა კენჭისყრა. მერვედფინალის მატჩები შედგება 16 და 30 სექტემბერს, მაგრამ 6 ქვეყნის ფეხბურთელები გათამაშებაში ჩაებმებიან ადრე, რათა მეთექვსმეტედფინალისთვის ზუსტად დადგინდეს 32 გუნდის ვინაობა.

ჩემპიონთა თასზე სსრ კავშირის ჩემპიონი ითამაშებს შვეიცარიის „ბაზელთან“, ხოლო თასის მფლობელი შეხვდება რუმინეთის თასის გათამაშებაში გამარჯვებულს (ამ ქვეყანაში თასის ფინალი ჯერ არ შემდგარა).

ჩემპიონთა თასის გათამაშების კენჭისყრამ მეტოქენი ასე დააწყვილა: „ფენერბახჩე“ (თურქეთი) — „კარლ ცაისი“ (გდრ), „სტანდარდი“ (ბელგია) — „რუსენბორგი“ (ნორვეგია), „სპორტინგი“ (პორტუგალია) — „ფლორიანა“ (მალტა), „სლოვანი“ (ჩეხოსლოვაკია) — „ბ-1903“ (დანია), „ეპა“ (კვიპროსი) — „ბორუსია“ (გფრ), „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) — რუმინეთის ჩემპიონი, „ევერტონი“ (ინგლისი) — „რეიკიავიკი“ (ისლანდია), „ნენდორი“ (ალბანეთი) — „აიაქსი“ (ჰოლანდია), „გეტებორგი“ (შვეცია) — „ლეგია“ (პოლონეთი), ბულგარეთის ჩემპიონსა და ავსტრიის „აუსტრიას“ შორის გამარჯვებული — „ატლეტიკო“ (ესპანეთი), „უიპეშტი“ (უნგრეთი) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია), „კალიარი“ (იტალია) — „სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი), „სელტიკი“ (შოტლანდია) — „კოკოლა“ (ფინეთი), „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — „ჟენესი“ (ლუქსემბურგი), „გლენტორანი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) — „უოტერფორდი“ (ირლანდია).

თასების მფლობელთა თასზე ითამაშებენ: „მანჩესტერ-სიტი“ (ინგლისი) — „ლინფილდი“ (ჩრდილოეთ ირლანდია), „ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ოლიმპია“ (იუგოსლავია), „არისი“ (საბერძნეთი) — „ჩელსი“ (ინგლისი), „აკურეირი“ (ისლანდია) — „ციურიხი“ (შვეიცარია), „კარდიფ-სიტი“ (უელსი) — „პოლი“ (კვიპროსი), გფრ-ის თასის მფლობელი — „ბრიუგე“ (ბელგია), „ჰიბერნიენი“ (მალტა) — „რეალი“ (ესპანეთი), „ფორვერტსი“ (გდრ) — „ბოლონია“ (იტალია), ბულგარეთის თასის მფლობელი — „ვალკეაკოსკი“ (ფინეთი), „აბერდინი“ (შოტლანდია) — „ჰონვედი“ (უნგრეთი), „სტრემგოდსეტი“ (ნორვეგია) — „ნანტი“ (საფრანგეთი), „ოლბორგი“ (დანია) — „რუხი“ (პოლონეთი), „გეზთეფე“ (თურქეთი) — „უნიონი“ (ლუქსემბურგი), „ვაკერი“ (ავსტრია) — შვეციის „ატვიდაბერგსა“ და ალბანეთის „პარტიზანს“ შორის გამარჯვებული, ირლანდიის „ბოჰემიანსსა“ და ჩეხოსლოვაკიის „გოტვალდოვს“ შორის გამარჯვებული — „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია).

● ● ● ●

# ცვლილებები შეიტანეს

პრესაში სულ ახლახან გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომმა ურჩია წესების საერთაშორისო საბჭოს, რათა დიდ საერთაშორისო ტურნირებში გადამწყვეტი მატჩების ფრედ დამთავრების შემთხვევაში ამჟამად არსებული კენჭისყრის წესი შეიცვალოს თერთმეტ კარში შესრულებული პენალტებით.

წესების საერთაშორისო საბჭოს სხდომამ, რომელიც შოტლანდიის ქალაქ ინვერნესში შედგა, გადაწყვიტა კენჭისყრის მაგივრად დაწესდეს პენალტებით გამარჯვებულის გამოვლენის სისტემა. იგი ძალაში გაისიდან შევა.

ამავე სხდომაზე დადგინდა, რომ კუთხური დარტყმის მოწოდებისას ბურთი უნდა დადებულ იქნას შიგ სექტორში და არავითარ შემთხვევაში არ ეხებოდეს ხაზს.

წესების საერთაშორისო საბჭომ უარყო წინადადება გამოყენებულ იქნას სატელევიზიო კადრები და ვიდეოჩანაწერი არბიტრების კრიტიკისთვის. კიდევ მეტიც: მან თხოვნით მიმართა სატელევიზიო კომპანიებს აკრძალონ ვიდეოჩანაწერის გამოყენება ამ მიზნით და ტრანსლაციის დროს არ მიმართონ სადავო ეპიზოდების გამეორებას.

# საქართველოს პირველობა

## გათამაშების ცხრილები

### II ჯგუფი

მდგომარეობა 10 ივლისისთვის

#### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გარეჯი“ (საგარეჯო) | 13 | 10 | 2 | 1 | 43—16 | 22 |
| „ვარძია“ (ასპინძა) | 12 | 8 | 2 | 2 | 29—10 | 18 |
| „სპარტაკი“ (რუსთავი) | 14 | 7 | 4 | 3 | 22—17 | 18 |
| „შევარდენი“ (თბილისი) | 13 | 7 | 3 | 3 | 22—15 | 17 |
| „მევენახე“ (ვაზისუბანი) | 13 | 7 | 2 | 4 | 33—22 | 16 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 13 | 8 | 0 | 5 | 21—12 | 16 |
| „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) | 13 | 4 | 8 | 1 | 26—17 | 16 |
| „მშენებელი“ (წალკა) | 13 | 6 | 3 | 4 | 17—18 | 15 |
| „მევენახე“ (ბოლნისი) | 13 | 5 | 4 | 4 | 21—16 | 14 |
| „აბული“ (ახალქალაქი) | 14 | 4 | 2 | 8 | 18—27 | 10 |
| „შირაქი“ (წითელი წყარო) | 14 | 4 | 2 | 8 | 7—22 | 10 |
| „გარისი“ (თეთრი წყარო) | 13 | 2 | 4 | 7 | 16—25 | 8 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 11 | 2 | 3 | 6 | 12—21 | 7 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 12 | 1 | 2 | 9 | 7—17 | 4 |
| „არაგვი“ (მცხეთა) | 13 | 1 | 1 | 11 | 14—53 | 3 |

#### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ივერია“ (ხაშური) | 11 | 7 | 3 | 1 | 12—3 | 17 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 11 | 5 | 5 | 1 | 13—7 | 15 |
| „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) | 12 | 4 | 7 | 1 | 14—9 | 15 |
| „ჭოროხი“ (ბათუმი) | 11 | 6 | 1 | 4 | 13—8 | 13 |
| „დინამო“ (ქუთაისი) | 12 | 5 | 2 | 5 | 14—11 | 12 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 11 | 4 | 4 | 3 | 8—7 | 12 |
| „საირმე“ (მაიაკოვსკი) | 11 | 5 | 2 | 4 | 11—12 | 12 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 11 | 4 | 1 | 6 | 14—15 | 9 |
| „განთიადი“ (აბაშა) | 11 | 2 | 5 | 4 | 9—13 | 9 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 11 | 3 | 2 | 6 | 13—14 | 8 |
| „განახლება“ (ადიგენი) | 9 | 3 | 2 | 4 | 6—12 | 8 |
| „კოლმეურნე“ (ქედა) | 10 | 3 | 2 | 5 | 7—14 | 8 |
| „მექანიკოსი“ (სამტრედია) | 11 | 2 | 0 | 9 | 12—22 | 4 |

## „ბ“ კლასი

# მარცხიანად...

8 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები საკავშირო პირველობაზე „ბ“ კლასის გუნდებს შორის. ამ დღეს სოხუმის „დინამომ“ თავის მინდორზე მიიღო კრასნი სულინის „მეტალურგი“. ჩვენი სოხუმელი კორესპონდენტი შ. ჯალაღონია გვატყობინებს, რომ ისევე, როგორც უმრავლეს შეხვედრებში, სოხუმელი ფეხბურთელები ახლაც ინერტულად და უხალისოდ თამაშობდნენ, თითქოს რაღაც მოსაწყენ მოვალეობას ასრულებენო. ბურთი მთელი ტაიმის განმავლობაში არ მოსცილებია შუა მინდორს და არც რაიმე ღირსშესანიშნავი მომხდარა. ერთხელ შორიდან დარტყა ზარიამ კარში... ეს იყო და ეს. ასევე მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგაც. შეიძლება, სტუმრებს ფრე ხელს აძლევდა და ამიტომ ისინი არც აჩქარებდნენ თამაშს, დინამოელთათვის კი შინ საჭირო იყო მხოლოდ გამარჯვება.

მაგრამ ასეთი თამაშით ვერ გაიმარჯვებ. კიდევ მეტიც: შესაძლოა ფრეც ხელიდან გაუშვა და ეს ასეც მოხდა. 88-ე წუთზე მასპინძელთა მცველმა გოგიშვილმა დაუშვა შეცდომა და საშუალება მისცა იაკიმოვს გაეტანა ერთადერთი გოლი. სოხუმის „დინამოს“ თამაში ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას.

ასეთივე არასახარბიელო ცნობა მოგვაწოდა ცხინვალიდან ჩვენმა რაიონულმა კორესპონდენტმა ვ. შულქოევმა. სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი და რიაზანის სპარტაკელები.

ჯერ კიდევ მატჩის დასაწყისში მასპინძლებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა. სამაგიეროდ, რიაზანელებმა საპასუხო იერიში განავითარეს და გახსნეს ანგარიში.

ცხინვალელთა თავდამსხმელები ამ დღეს ასე თუ ისე აქტიურობდნენ და თუმცა კარგავდნენ ბურთის გატანის შესაძლებლობებს, წინა ხაზზე მაინც იბრძოდნენ. სამაგიეროდ, გუნდის დაცვამ და მეკარე შარაშენიძემ ძალიან ცუდად ითამაშეს. მეორე ბურთი მასპინძელთა კარში გაიტანა ნაულინმა. ეს გოლი საჯარიმო დარტყმით გაქვითა ქოქოევმა, მაგრამ შემდგომში წარმატება კვლავ სტუმართა მხარეს იყო. ხრაბროვკინმა და მჭკოსეკინმა კიდევ 2 ბურთი გაიტანეს ცხინვალის „სპარტაკის“ კარში — 4:1.

## სხვა მატჩები

ამ დღეს სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „კოლხეთი“ (ფოთი) — „კახეთი“ (თელავი) 5:2, „მერცხალი“ (მახარაძე) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:3, „გურია“ (ლანჩხუთი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 6:1, „მეშახტე“ (ტყიბული) — „სპარტაკი“ (ტამბოვი) 0:1, „სულორი“ (ვანი) — „სპარტაკი“ (სარანსკი) 1:1, „ტორპედო“ (ოისკი) — „ორბიტა“ (ბილაია კალიტვა) 3:1, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „პროგრესი“ (კამენსკ-შახტინსკი) 1:1.

## სსრ კავშირის პირველობა

### I ჯგუფი — „ა“ კლასი

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კარპატი“ (ლვოვი) | 18 | 9 | 7 | 2 | 25—8 | 25 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 17 | 10 | 5 | 2 | 20—5 | 25 |
| „კაირათი“ (ალმა-ათა) | 17 | 9 | 5 | 3 | 28—11 | 23 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 17 | 7 | 9 | 1 | 23—11 | 23 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 17 | 8 | 5 | 4 | 16—10 | 21 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 17 | 8 | 4 | 5 | 17—11 | 20 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 18 | 5 | 9 | 4 | 11—8 | 19 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 17 | 6 | 6 | 5 | 16—18 | 18 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 17 | 5 | 7 | 5 | 18—14 | 17 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 17 | 5 | 7 | 5 | 14—10 | 17 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 17 | 6 | 5 | 6 | 18—18 | 17 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 17 | 6 | 5 | 6 | 11—16 | 17 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 17 | 7 | 3 | 7 | 15—24 | 17 |
| ასკ (კიევი) | 17 | 7 | 2 | 8 | 22—18 | 16 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 17 | 5 | 6 | 6 | 11—14 | 16 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 17 | 5 | 5 | 7 | 15—19 | 15 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 17 | 5 | 4 | 8 | 15—18 | 14 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 17 | 6 | 2 | 9 | 16—20 | 14 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 17 | 4 | 5 | 8 | 18—27 | 13 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 17 | 4 | 4 | 9 | 11—22 | 12 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 17 | 3 | 6 | 8 | 11—23 | 12 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 17 | 2 | 1 | 14 | 8—34 | 5 |

### II ჯგუფი — „ა“ კლასი

#### გათამაშების ცხრილი

II ზონა

მდგომარეობა 11 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) | 17 | 8 | 6 | 3 | 24—6 | 22 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 17 | 8 | 6 | 3 | 18—14 | 22 |
| „მეტალურგი“ (ტულა) | 17 | 9 | 3 | 5 | 27—17 | 21 |
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 16 | 7 | 7 | 2 | 19—12 | 21 |
| „ვოლგა“ (კალინინი) | 16 | 9 | 2 | 6 | 24—16 | 20 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 16 | 6 | 8 | 2 | 13—7 | 20 |
| „მაშუკი“ (პიატიგორსკი) | 17 | 7 | 6 | 4 | 19—16 | 20 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 17 | 7 | 5 | 5 | 15—14 | 19 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 17 | 7 | 4 | 6 | 16—12 | 18 |
| „დილა“ (გორი) | 17 | 7 | 4 | 6 | 21—19 | 18 |
| „ლოკომოტივი“ (კალუგა) | 17 | 6 | 6 | 5 | 17—24 | 18 |
| „სალუტი“ (ბელგოროდი) | 16 | 6 | 5 | 5 | 21—17 | 17 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 17 | 6 | 5 | 6 | 14—13 | 17 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 16 | 6 | 4 | 6 | 17—10 | 16 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 17 | 5 | 6 | 6 | 18—21 | 16 |
| „სტალი“ (ვოლგოგრადი) | 17 | 4 | 7 | 6 | 15—15 | 15 |
| „სატურნი“ (რიბინსკი) | 17 | 4 | 7 | 6 | 14—20 | 15 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 17 | 5 | 5 | 7 | 16—23 | 15 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 16 | 4 | 4 | 8 | 18—21 | 12 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 17 | 4 | 3 | 10 | 14—28 | 11 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 16 | 2 | 5 | 9 | 6—16 | 9 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 17 | 1 | 4 | 12 | 7—32 | 6 |

# პოლონელთა წარმატება

მარფა (აშშ), 9 ივლისი. პლანერისტთა აქ დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატში კარგად გამოვიდნენ პოლონელები. „სტანდარტის“ კლასში პოლონეთის ჩემპიონმა ი. ჟრუბლევსკიმ 8.228 ქულით II ადგილი დაიკავა, ხოლო „ღია“ კლასში ე. მაკულა მეხუთე იყო (7.687 ქულა). პოლონელები „კობრას“ ტიპის სამამულო პლანერებით ასპარეზობდნენ.

„ღია“ კლასში მსოფლიო ჩემპიონი გახდა 43 წლის ამერიკელი მასწავლებელი ჯ. მოფეტი (8.323 ქულა), ხოლო „სტანდარტის“ კლასში ყველას აჯობა ასევე პედაგოგმა, 28 წლის ჰ. რეჰმანმა (გფრ). იგი ამგვარი ტურნირების ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულია, ეს შეჯიბრებები კი 1937 წლიდან იმართება.

## 20 ★

◆ პარიზი, 10 ივლისი. ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსან ქალთა ნაკრებმა, რომელსაც თავისი ევროპული ტურნეს დებიუტი ადგილობრივი „კოლომბის“ სტადიონზე ჰქონდა, დაამარცხა საფრანგეთის ნაკრები — 117:94. სტუმრებმა იოლად როდი გაიმარჯვეს, — პირველ დღეს ისინი წაგებული (50:56) წავიდნენ სტადიონიდან. აშშ-ს მძლეოსნებმა მთლიანად ჩარხი მეორე დღეს ბრწყინვალედ მოასპარეზე მორბენალთა წყალობით შემოაბრუნეს თავიანთ სასარგებლოდ. ფრანგებმა ამ დღეს მხოლოდ ერთი გამარჯვება იზეიმეს: ს. ფირსი საუკეთესო იყო სამხტომში — 16,32 მ. ამერიკელებს წინა აქვთ მატჩები გფრ-ის გუნდთან, მერე კი — 23-24 ივლისს სსრ კავშირის ნაკრებთან ლენინგრადში.

# 16 ივლისს

თბილისსა და კიევში სტარტს აიღებს „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის რეგბისტთა გუნდების საკავშირო პირველობა. თითოეული ჯგუფიდან 2-2 უძლიერესი ფინალში გავა. ფინალური ტურნირი სექტემბერში მოეწყობა მოსკოვში და ქვეყნის ჩემპიონიც გამოვლინდება.

თბილისში იასპარეზებენ მოსკოვის „ავტომობილისტი“, „ფილი“, ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ და თბილისის „ლოკომოტივი“.

შეხვედრების კალენდარი ასეთია:

**16 ივლისი.** „ავტომობილისტი“—„ფილი“. დასაწყისი 18 ს. „ბურევესტნიკი“ — „ლოკომოტივი. 20 ს.

**18 ივლისი.** „ლოკომოტივი“—„ავტომობილისტი“. **18 ს.** „ფილი“ — „ბურევესტნიკი“. 20 ს.

**20 ივლისი.** „ავტომობილისტი“ — „ბურევესტნიკი“. 18 ს., „ფილი“—„ლოკომოტივი“. 20 ს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ჯგუფი „ა“ კლასი

13 ივლისი

„დინამო“ (თბილისი)—„ჩერნომორეცი“ (ოდესა).

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. (8) უე 08225